

განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიაში პირისპირ სწავლების შეუძლებლობის შემთხვევაში, დისტანციურ სწავლებაზე/ჰიბრიდულ მოდელზე გადასვლის სტრატეგია

შესავალი

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესაბამისად, დისტანციურ/ჰიბრიდულ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში, შპს „თანამედროვე განათლების აკადემია“ სასწავლო პროცესს წარმართავს დისტანციური რეჟიმის შესაბამისად. აღნიშნული შესახებ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ აკადემიის ელექტრონული ჟურნალით, აკადემიის ვებგვერდისა და ოფიციალური ფეისბუქ გვერდის საშუალებით.

აკადემიას დისტანციური სწავლების გამოცდილება ჰქონდა 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში. სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან მიღებული უკუკავშირი ადასტურებს, რომ აკადემიაში 2019-2020 სასწავლო წელს მიმდინარე დისტანციური სწავლება წარიმართა წარმატებულად.

აკადემია გეგმავს ახალი უნარები და დისტანციურ რეჟიმში დანერგილი წარმატებული პრაქტიკა გამოიყენოს სწავლების ხარისხის ასამაღლებლად პირისპირ და/ან დისტანციური სწავლების ფარგლებში.

დისტანციური სწავლების ფორმატი

თითოეული მოსწავლის საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებისა და შედეგის უკეთ მიღწევის მიზნით, აკადემია დისტანციურ სწავლებას განახორციელებს როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული ფორმით.

დისტანციური სწავლების შემადგენელი ნაწილები იქნება:

- ონლაინ გაკვეთილები,
- მასწავლებლის მიერ სქულბუქში ატვირთული სასწავლო რესურსები,
- მასწავლებლის მიერ ჩაწერილი მოკლე ვიდეო-რესურსები მოსწავლისთვის აქტუალურ თემებზე,
- საჭიროებისამებრ, საშინაო დავალებებზე წერილობითი უკუკავშირი,
- მოსწავლის ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფის კონსულტირება, საჭიროებისამებრ.

პლატფორმა დისტანციური სწავლებისთვის

მასწავლებლები ონლაინ გაკვეთილებისთვის გამოიყენებენ zoom-ის პლატფორმას, ხოლო ასინქრონული სწავლებისთვის-schoolbooks-ს და დახურულ ჯგუფებს ფეისბუქში, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. დირექცია, დამრიგებლები და მასწავლებლები მშობლებთან კომუნიკაციას, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებს და სხვა წარმართავენ zoom-ის პლატფორმის, დახურული ჯგუფებისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

გაკვეთილებისა და აკადემის სხვა სერვისების ხანგრძლივობა დისტანციური სწავლებისას

ონლაინ გაკვეთილების ხანგრძლივობის და რაოდენობის გათვალისწინებისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და მშობელთა მოსაზრებები.

დისტანციური სწავლების პერიოდში ონლაინ გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრა შემდეგნაირად: I კლასები-მინიმუმ 15, მაქსიმუმ 35 წთ.

II-XII კლასები - მინიმუმ 25 და მაქსიმუმ 40 წუთით.

მოსწავლეებს შემდეგ გაკვეთილამდე შესვენებისთვის ექნებათ მინიმუმ 20 წთ.

აკადემის მოსწავლეები, სურვილის შემთხვევაში ისარგებლებენ კონსულტირების, საშინაო დავალებებზე მუშაობის და კლუბების სერვისებითაც:

- მოსწავლეებს, დღის მეორე ნახევარში, წინასწარ შედგენილი გრაფიკით, მათთვის საინტერესო საგანში კონსულტირებას გაუწევენ აკადემიის მასწავლებლები;
- დღის მეორე ნახევარში მოსწავლეებისთვის ასევე შეთავაზებული იქნება კლუბური მუშაობა, რომელთა წარმართვა კლუბის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია;
- I-VI კლასის მოსწავლეები მიიღებენ საჭირო დახმარებას საშინაო დავალებების შესრულებისას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკითა და ინტენსივობით.

პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი

აღნიშნული პროცესების ეფექტიანად წარმართვის მიზნით უკვე განხორციელებულია მთელი რიგი აქტივობები, კერძოდ, შეიქმენა ონლაინ - სწავლების პირობებზე ადაპტირებული საათობრივი ბადე (დანართი #1 [Last-მომავალი-საათები \(2\).xlsx](#)), გაკვეთილების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის სისტემა (აკადემია გამოიყენებს ონლაინ გაკვეთილის შეფასების [რუბრიკას](#)), სწავლა - სწავლების გაუმჯობესების მიზნით მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლის კითხვარების შემუშავება, მათი შედეგების ანალიზი და სხვ.

ჰიბრიდული მოდელი

ჰიბრიდული მოდელის საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იხელმძღვანელებს დისტანციური სწავლების ზემოთ აღწერილი პრინციპებით. დისტანციური და პირისპირი სწავლების პროპორციულობა სხვადასხვა ასაკობრივი საფეხურისთვის განისაზღვრება ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციით.

სწავლების როგორც პირისპირ, ისე ჰიბრიდული და დისტანციური მოდელის შემთხვევაში, აკადემიაში შენარჩუნებული იქნება სასკოლო-სასწავლო გეგმით გაწერილი შეფასების სისტემა.

დისტანციური სწავლება სკოლამდელი აღზრდის პროგრამის საფეხურზე

აკადემიის სკოლამდელი აღზრდის პროგრამის საფეხურზე აღსაზრდელთა მშობლებს აკადემია შესთავაზებს ონლაინ სწავლებას. მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, აღნიშნული სერვისი მათთვის იქნება არასავალდებულო. აკადემია აღსაზრდელებს შესთავაზებს შემდეგ აქტივობებს:

- მასწავლებლების 15 წთ-იანი ონლაინ ჩართვები,
- მასწავლებლის მცირე ვიდეო რესურსები,
- აღსაზრდელების მიერ მცირე რესურსების მომზადება, რომელზე დაყრდნობითაც აღსაზრდელები შეძლებენ წვრილი და მსხვილი მოტორიკის, ემოციური, კოგნიტური და სხვა უნარების განვითარებას.